სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

<u>დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება</u>

დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე
17.03.2015 წ. ოქმი N5

ცვლილებები განხილულია სახელოვნებო მეცნიერებათა,
მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბჭოზე 29.11.2022. #2
დრამის ფაკულტეტის საბჭოზე 05.12.2022. #11
კინო-ტელე ფაკულტეტის საბჭოზე 07.12.2022. #10

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე
23.12.2022წ. ოქმი # 14

თავი I: ზოგადი დებულება

მუხლი 1. მიზანი

თავი II: დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა
მუხლი 3. დოქტორანტურის ადმინისტრაცია - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი
თავი III: დოქტორანტურაში მიღების წესი

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

მუხლი 5. დოქტორანტურაში მიღების პირობები

მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

მუხლი 7. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები:

თავი IV. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 9. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

მუხლი 10. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

მუხლი 11. დოქტორანტურის კომპონენტები

მუხლი 12. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი პროექტი

მუხლი 13. დოქტორანტის კოლოკვიუმი

თავი V: სადისერტაციო საბჭო

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა

მუხლი 15. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი:

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის უფლებამოსილება

თავი VI: . დარგბრივი სექციები

მუხლი 18. დარგობრივი სექციების სტრუქტურა
მუხლი 19. დარგობრივი სექციის მუშაობის წესი
მუხლი 20. დარგობრივი სექციის უფლებამოსილება

მუხლი 21. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელისა და მდივნის უფლებამოსილება

თავი VII: სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

მუხლი 25. სადისერტაციო კომისია

მუხლი 26. დისერტაციის დაცვა

მუხლი 27. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

მუხლი 28. დისერტაციის გამოქვეყნება

მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 30. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

თავი VIII. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 31. შეთანხმება სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე
მუხლი 32. განცხადება დოქტორანტურაში დაშვების შესახებ
მუხლი 33. დოქტორანტის ხელმძღვანელი
მუხლი 34. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
მუხლი 35. დისერტაციის წარდგენისა და დაცვის ენა

თავი IX: დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 36. გასაჩივრების პროცედურა

მუხლი 37. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 38. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

თავი X . დაფინანსება

მუხლი 39. დოქტორანტურის დაფინანსების შესაძლებლობა

თავი XI . დასკვნითი დებულებები

მუხლი 40. დებულების მოქმედების სფერო

თავი 1: ზოგადი დებულება

მუხლი 1. მიზანი

1.1. ეს დებულება აწესრიგებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (შემდგომში „თეორიული ფაკულტეტი“), დრამის ფაკულტეტის და კინო-ტელე ფაკულტეტის (შემდგომ ,,საშემსრულებლო ფაკულტეტები“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

1.2. ეს დებულება აწესრიგებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების ნორმებსა და პროცედურებს.

1.3. დოქტორანტურის მიზანია: სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება, შესაბამისი პროდუქტის/ნაშრომის შექმნა და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში; ასევე, პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უ+ნარი: შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზონ დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილება და მიღებული სამეცნიერო შედეგები გაავრცელონ პუბლიკაციების მეშვეობით, ასევე სასწავლო პროცესში და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით.

თავი 2: დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა

2.1. ”უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის” მე-2 მუხლის `ტ” ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2.2. სადოქტორო პროგრამა მოიცავს თეორიული მიმართულებით - სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. საშემსრულებლო მიმართულებაზე - სასწავლო, შემოქმედებით და კვლევით კომპონენტებს; ან, დოქტრანტის სურვილის შემთხვევაში, სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

2.3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.

2.4. დოქტორი არის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ შემდეგი მიმართულებებით:

- |) თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია; |
- |) მასობრივი კომუნიკაციის კვლევები; |
- |) მენეჯმენტის /ხელოვნების მენეჯმენტი;|
- |) აუდიოვიზუალური ხელოვნება;|
-) სათეატრო ხელოვნება;|
-) ქორეოგრაფია;|

მუხლი 3. დოქტორანტურის ადმინისტრაცია - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი

3.1. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;

3.2. ახორციელებს დოქტორანტურის სტუდენტთა მონაცემების აღრიცხვას, პირადი საქმეების წარმოებას და პერსონალურ ბარათზე აკადემიური შეფასებების ასახვას;

3.3. ახორციელებს სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შედგენას და მათზე კონტროლს;

3.4. განსაზღვრავს კოლოქვიუმის ჩატარების გრაფიკს (ცხრილს) სემესტრის დასაწყისში;

3.5. უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის საჭირო ცნობების, რეკომენდაციების და სხვა დოკუმენტების მომზადებას;
3. 6. დოქტორანტის პირად საქმეში ინახავს დოქტორანტის სამეცნიერო აქტივობების ამსახველ მასალას (დისერტაციის პროექტი, კოლოქვიუმზე წარდგენილი ანგარიში და ა.შ.);
3.7. უზრუნველყოფს დარგობრივი სექციისთვის დოქტრანტის თაობაზე სათანადო ინფორამციის მიწოდებას (წერილობითი ინფორმაცია სასწავლო კრედიტების ათვისების შესახებ, წერილობითი ინფორმაცია ფინანსური დავალიანების არასებობის შესახებ);

3.7. უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს დოქტორანტთან ან მის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებს დოქტორანტისთვის შეტყობინებას;

3.8. სასწავლო-სამეცნიერო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას;
3.9. დოქტორანტურაში სტუდენტების მიღების პროცესის ორგანიზებას;

3.10. პასუხისმგებელია დოქტორანტთა პირადი საქმეების და დოქტორანტურის სხვა დოკუმენტაციის შენახვაზე.
3.11. უზრუნველყოფს დოქტორანტურაში მიღების პროცესის ადმინისტრირებას ფაკულტეტების სადმინისტრაციასთან კოორდინირებით.

თავი III: დოქტორანტურაში მიღება

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

4.1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, შესაბამისი სპეციალობით სადოქტორო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად.

4.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, `უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 5. დოქტორანტურაში მიღების პირობები

5.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილულ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ და აკრედიტირებულ სადოქტორო პროგრამებზე.

5.2. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებას დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.

5.3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის - ინგლისურის, არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რომელიც მოწმდება დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩაბარებით. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

5.4. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, ინგლისური ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (**TOEFL** PBT, **TOEFL IBT**, **IELTS** ან **Cambridge Exam**).

5.5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული და <u>რომელსაც სურს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა,</u> წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (B2 დონე), ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელი მოწმობა, ან უმაღლესი განათლების დიპლომი ქართული ენის პროფილით. სხვა შემთხვევაში აბარებს ქართული ენის გამოცდას. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

5.6. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აბარებს უცხოენოვან პროგრამაზე,

წარმოადგენს შესაბამისი ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს ან აბარებს შესაბამის საუნივერსიტეტო გამოცდას. თუ აღნიშნული დოქტორანტობის კანდიდატისთვის ენა მშობლიურია, წარმოადგენს სხვა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ან აბარებს შესაბამის საუნივერსიტეტო გამოცდას დადგენილი წესის მიხედვით.

5.7 დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება გასაუბრების შედეგად მიღებული ქულების შესაბამისად.

5.8. ცალკეული სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მოთხოვნილ იქნას დამატებითი პირობები, რომელიც აისახება პროგრამაზე მიღების წინაპირობებში. დადგენილი უნდა იყოს აკადემიური საბჭოს მიერ.

მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

6.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის დასახელება, შესაბამისი მიმართულებით. განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

- განმცხადებლის ავტობიოგრაფია CV) ;

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/მოდულის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- რეფერატი ან კვლევითი ხასიათის სტატია, რომელშიც აისახება მისი სამეცნიერო ინტერესები (5-7 გვ.);

- არსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ასლთან ერთად, ან ინგლისურ ენაში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელი მოწმობა, ასლთან ერთად; ან ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოენოვანი დოქტორანტობის კანდიდატებისთვის მუხლი 5.4 და 5.5. -ის შესაბამისად. თუ განმცხადებელს არ გააჩნია შესაბამისი სერტიფიკატი ინგლისურ ენაში, გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

6.2. მიმღები კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-

ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. გადაწყვეტილება ეცნობება ფაკულტეტებს და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

6.3. უნივერსიტეტი და დოქტორანტი ჩარიცხვიდან მაქსიმუმ ერთ თვეში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ფორმას და შინაარსს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ადგენს უნივერსიტეტი.

მუხლი 7. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები:

7.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება ფაკულტეტების შასაბამის მიმართულებებთან შეთანხმებით და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წარდგინებით და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
7. 2. დოქტორანტურაში მიღების ვადა განისაზღვრება გაზაფხულის სემესტრში და ცხადდება მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვისა.

თავი IV. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 8. სადოქტორო პროგრამა

8.1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:

- უნივერსიტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის/ასოცირებული პროფესორის მიერ;

- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან;
- პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;
- სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების ან მემორანდუმის საფუძველზე;

8.2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

8.3. სადოქტორო პროგრამა ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელია მისი აკრედიტაცია.

8.4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

- პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სათანადო ხარისხის მქონე მეცნიერი;

- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

- შესაბამისი ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის აღიარებული სპეციალისტი.

მუხლი 9. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ შემოქმედებითი კომპონენეტის ხელმძღვანელი

9.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით, ხოლო საშემსრულებლო ფაკულტეტების დოქტორანტებს დამატებით შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელით.

9.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; საშემსრულებლო მიმართულებით დოქტორანტის შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის თანახელმძღვანელი საშემსრულებლო მიმართულებით შეიძლება იყოს თეორიული მიმართულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, ან მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერ-თანამშრომელი. დისერტაციის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი; ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი კვალიფიკაციის შესაბამისად.

9.3. სამეცნიერო თანახელმძღვანელის დანიშვნის აუცილებლობის შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ რომ დოქტორანტის თანახელმძღვანელობის კანდიდატი აკმაყოფილებს სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებს: ა) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება საკვლევი თემის პრობლემატიკას ბ) მოცემულ მომენტში მას ჰყავს არაუმეტეს 4 დოქტორანტისა (აქტიური სტუდენტი) გ) თანახმაა გაწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა;

9.3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია აირჩიოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა შეუძლია დოქტორანტსაც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

9.4. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები;

9.5. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას (სადისერტაციო ნაშრომის პროექტის შესაბამისად);

9.6. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

9.7. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოში მისი მიწვევის შესახებ.

9.8 საშემსრულებლო ფაკულტეტის დოქტორანტის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი კვალიფიკაციის შესაბამისად.

9.9. შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელს დასანიშნად სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებს: ა) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება საკვლევი თემის პრობლემატიკას; ბ) მოცემულ მომენტში მას ჰყავს არაუმეტეს 4 დოქტორანტისა (აქტიური სტუდენტი); გ) თანახმაა გაწიოს შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელობა;

9.10. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია აირჩიოს დოქტორანტის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი. შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელის არჩევა შეუძლია დოქტორანტსაც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

9.11. შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემოქმედებით-პრაქტიკული გამოცდილება;

9.12. იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

9.13. შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას.

მუხლი 10. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

10.1. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლით; დოქტორანტს შესაძლებელია მიეცეს უფლება კვლევა დაასრულოს დამატებითი 2 დამატებითი წლის ვადაში. თუ ამ ვადის გასვლამდე დასრულებული დისერტაციის სადისერტაციო საბჭოსთვის წარდგენა არ მოხდა, დოქტორანტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

10.2. დამატებითი 2 წლის განმავლობაში სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია დოქტორანტს გაუწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა იმ საათობრივი დატვირთვით, რაც უნივერსიტეტში არსებული წესითაა განსაზღვრული.

10.3. დოქტორანტურაში სწავლის სპეციფიკა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და სადოქტორო პროგრამით.

10. 4. სტატუს შეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, კანონმდებობით დადგენილ ვადაში აღიდგინოს სტატუსი;

10.5. სტატუს შეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, კანონმდებობით დადგენილ ვადაში აღიდგინოს სტატუსი მომიჯნავე სპეციალობაზე, რეგულაციებით დადგენილი წესის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ იმ პროგრამას, რომლეზეც ირიცხებოდა, აკრედიტაციის ვადა გაუვიდა.

10.4. სტატუს შეჩერებულ დოქტორანტს, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უფლება აქვს სწავლა განაგრძოს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეიჩერა სტატუსი;

10.5. სტატუს შეჩერებულ დოქტორანტი, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, თუ ამოწურული აქვს პროგრამით განსაზღვრული სამწლიანი და დამატებითი 2 წლიანი ვადა, ვალდებულია დისერაცია წარადგინოს დარგობრივ სექციაზე აღდგენიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

მუხლი 11. დოქტორანტურის კომპონენტები

11.1.1 თეორიული მიმართულების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტისა;

11.1.2. საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტისა;

11.2. დოქტორანტურის <u>სასწავლო კომპონენტი</u> გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას:

ა) სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტების შერჩევა ხდება პროგრამის ფარგლებში

მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან უნივერსიტეტის ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა:

ბ) სპეციფიკური დარგობრივი კურსები (სპეციალური სემინარები), რომლებიც გულისხმობს პროგრამიდან/მოდულიდან გამომდინარე საგნის გაღრმავებულ შესწავლას;

გ) ძირითადი მეცნიერული უნარების განმავითარებელი მოდული/კურსი, რომელიც გულისხმობს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების შესწავლას, სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსის ჩათვლით, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სწავლების პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება). ამ კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი ფასდება იმ პროფესორის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა წარმოდგენილ კურსს;

დ) დოქტორანტი თვითონ ირჩევს იმ არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც მოცემულია სადოქტორო პროგრამაში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო და სამეცნიერო პროცესების თანხვედრა, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს.

11. 3. დოქტორანტურის **<u>კვლევითი კომპონენტი</u>** მოიცავს:

ა) დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას, ასევე სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.

ბ) დოქტორანტის კოლოკვიუმს;

გ) დისერტაციის დაცვას, ანუ, თემის საჯარო პრეზენტაციას;

11.4. დოქტორანტის კვლევითი სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს პროგრამისა და სხვა შესაბამისი რეგულაციების შესაბამისად.

11.5. საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო პროგრამის **<u>შემოქმედებითი კომპონენტი</u>** მოიცავს**<u>:</u>**

- შემოქმედებითი პროექტის მომზადებას, განხორციელებას და შემოქმედებითი პროდუქტის(ნაშრომის) საჯარო წარდგენას.

- შემოქმედებითი პროდუქტი(ნაშრომი) ფასდება დისერტაციის შფასების წესის მიხედვით;

11.6 შემოქმედებითი პროექტი დისერტანტის მიერ წარმოდგენილი იქნება სპეციალობების მიხედვით.

11.6.1. სათეატრო მიმართულებით აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს (სპექტაკლი, ნაწყვეტები სპექტაკლებიდან, რეპეტიცია - შემოქმედებითი პედაგოგიკის მიმართულების საკვლევი თემატიკის ნაშრომისთვის და ა.შ.), განხორციელებულს თეატრის სცენაზე ან უნივერსიტეტის სამსახიობო ჯგუფთან წინასადიპლომო ან სადიპლომო სპექტაკლის სახით, როგორც დამდგმელი რეჟისორი.

11.6.2. აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტანტი წარმოადგენს მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ ფილმს, აუდიო-ვიდეო და ტელე პროდუქციას, რეპეტიცია - შემოქმედებითი პედაგოგიკის მიმართულების საკვლევი თემატიკის ნაშრომისთვის და ა.შ. სადოქტორო პროგრამის შესაბამისად.

11.6.3. ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს (ქორეოგრაფიული სპექტაკლი, ნაწყვეტები ქორეოგრაფიული სპექტაკლებიდან, რეპეტიცია - შემოქმედებითი პედაგოგიკის მიმართულების საკვლევი თემატიკის ნაშრომისთვის და ა.შ.).

11.6.4. საშემსრულებლო მიმართულების დოქტორანტს უფლება აქვს შეასრულოს მხოლოდ თეორიული ნაშრომი, თეორიული მიმართულების დისერტაციისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 12. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი (დისერტაციის) პროექტი

12.1. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით პროექტს წერს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით. პროექტში მითითებული უნდა იქნეს თემის სახელწოდება, კვლევის მიზანი, აქტუალობა, თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, სამეცნიერო სიახლე, კვლევის მეთოდი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, კვლევის ჩატარების სავარაუდო გრაფიკი, ბიბლიოგრაფია.

12.2 დოქტორანტი დარგობრივი სექციის წინაშე (კოლოკვიუმზე), ინდივიდუალურ კვლევით პროექტს წარმოადგენს პირველი სასწავლო წლის ბოლოს ან მეორე წლის დასაწყისში.

12.3. საშემსრულებლო ფაკულტეტების დოქტორანტი კვლევით პროექტთან ერთად, წარმოადგენს შემოქმედებით პროექტს (შემოქმედებითი კომპონენტის განხორციელების გეგმას).

12.4. დოქტორანტმა დარგობრივი სექციის წინაშე (კოლოკვიუმზე), შემოქმედებითი კომპონენტის განხორციელების გეგმა, ინდივიდუალურ კვლევით პროექტთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირველი სასწავლო წლის ბოლოს ან მეორე წლის დასაწყისში.

12.5. სადისერტაციო ნაშრომის პროექტის სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე დებულებითა და წერითი ნაშრომის შესრულების წესით.

მუხლი 13. დოქტორანტის კოლოკვიუმი

13.1. კოლოკვიუმი არის დოქტორანტურაში სწავლის სავალდებულო ნაწილი. კოლოკვიუმი არის სამეცნიერო კვლევის შედეგების პრეზენტაცია დარგობრივ სექციაზე, რომელზეც იმართება დისკუსია, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის შეფასება-განხილვა, რასაც მოჰყვება სამეცნიერო დისკუსია. კოლოკვიუმის ჩატარება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს დარგობრივი სექციის თავმჯდომარე.
13.2. დოქტორანტი მოვალეა წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც წარდგეს კოლოკვიუმზე მოხსენებით.

13.3. კოლოკვიუმის გრაფიკი (ცხრილი) განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

13.4. კოლოქვიუმზე გამოსვლა სავალდებულოა.

თავი V: უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 14. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა

14.1 უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

14.2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

14.3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

14. 4. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ფარგლებში მოქმედებს დარგობრივი სექციები, რომელთა საქმიანობაც წარიმართება წინამდებარე დებულების მიხედვით.

მუხლი 15. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი:

15.1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს სადისერტაციო საბჭოს კომისიის შემუშავებული, ფაკულტეტების საბჭოების მიღებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

15.2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3, გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით.

15.3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით 4 წლის ვადით სიით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს/კანდიდატებს ასახელებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს წევრს თავადაც შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების გასვლამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

15.4. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიით შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) 4 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საბჭოს მდივანი უნდა იყოს აკადემიურ ან სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

15.5. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მინიმუმ სემესტრში სამჯერ. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

15.6. უნივერსიტეტის საბჭოს სიით შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

15.7. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

15.8. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით ელექტორნული ფოსტის მეშვეობით, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.

15.9. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს საზაფხულო არდადეგები იწყება მოცემული წლის სასწავლო კალენდრის შესაბამისად. ამ პერიოდის განმავლობაში შეჩერებულია დისერტაციის მიღებასთან, განხილვასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

16.1. სადისერტაციო საბჭო:

- ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
- ამტკიცებს საბჭოს მდივანს;
- განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო ფორმატს და სხვა ტექნიკურ მონაცემებს და ადგენს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს;;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას (სათაურის ქართული და ინგლისური ვარიანტებით) და განიხილავს დამტკიცებული თემის შეცვლის საკითხს;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, საშემსრულებლო მიმართულებაზე- შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელსაც, დარგობრივი სექციის წარდგინებით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე; განიხილავს ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს და ამტკიცებს ახალ ხელმძღვანელს;
- საბჭოს სხდომაზე თუ არ ესწრება დოქტორანტის ხელმძღვანელი საბჭო არ განიხილავს დამტკიცების ან შეცვლის საკითხს;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს) დარგობრივი სექციის წარდგინებით;
- ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
- ამტკიცებს დაცვის თარიღს;
- ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დაცვის შემდგომ პირველივე საბჭოზე.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის უფლებამოსილება

17.1 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

- უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას წინამდებარე დებულების საფუძველზე. პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაზე;
- უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას;
- ახორციელებს კოორდინაციას უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
- ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას;
- იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;

- პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცედურების ორგანიზებასა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე;

- სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიური შესრულებული საქმიანობის ანგარიშს;

- აკონტროლებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

17.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

- მონაწილეობს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებასა, დაზუსტებასა და სრულყოფაში;

- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის დროულ და შეუფერხებელ წარმოებას უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;

- პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის წარმოებაზე;

- ამოწმებს დისერტანტის მიერ წარდგენილი სამეცნიერო გამოცემების შესაბამისობას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივის წარმოებას;

- ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

- წარმართავს საბჭოს საქმიანობას თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში და უძღვება საბჭოს სხდომებს.

17.3 . სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

- უზრუნველყოფს დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციულ საქმიანობას;

- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;

- ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

- აწარმოებს საბჭოს არქივს;

- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას ვებ-გვერდზე.

თავი VI: . დარგობრივი სექციები

მუხლი 18. დარგობრივი სექციების სტრუქტურა

18.1 საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს აქვს დარგობრივი სექციები:

- თეატროლოგია და თეატრალური ხელოვნება;
- კინომცოდნეობა და აუდიოვიზუალური ხელოვნება;
- ქორეოლოგია და ქორეოგრაფიული ხელოვნების;
- ხელოვნებათმცოდნეობა;
- მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები;
- ბიზნესის ადმინისტრირების (ხელოვნების მენეჯმენტი).

18.2. სექციებში ერთიანდებიან შესაბამისი მიმართულების საბჭოს წევრი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირები - პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ პროფესორები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ასევე საბჭოს მოწვეული წევრები დაგობრივი ნიშნით, დოქტორის ხარისხით. ერთი პროფესორი შესაძლებელია იყოს სხვა სექციის წევრიც.

18.3. დარგობრივი სექცია შედგება არანაკლებ ხუთი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, პირისაგან.

18.4. დარგობრივ სექციას ხელმძღვანელობს სექციის მიერ არჩეული თავმჯდომარე 4 წლის ვადით.

18.5. დარგობრივი სექცია ირჩევს სექციის მდივანს 4 წლის ვადით.

18.6. ახალი დარგობრივი სექცია შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო მიმართულების დაფუძნების შემთხვევაში.

მუხლი 19. დარგობრივი სექციის უფლებამოსილება და მოვალეობები

19.1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია:

- განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის პროექტს და საკვლევ თემას დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

- გამოყოფს სექციის წევრთაგან დისერტაციის შემფასებელ-ექსპერტს, რომლის დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს დისერტაციის დასრულებულ ვარიანტთან ერთად კოლოქკვიუმზე; დისერტაციის შემფასებელ-ექსპერტი არ შეიძლება იყოს დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი, შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი;

- განიხილავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატს, შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელის, აგრეთვე, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

- განიხილავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

- განიხილავს დისერტაციის დასრულებულ ვარიანტს და, დადებითი შეფასებისა და გამოქვეყნებული სტატიების არსებობის დადასტურების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს შემდგომი მსვლელობისათვის;

- განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის (რეცენზენტების და საერთაშორისო ექსპერტების) და შემოქმედებითი კომპონენტის შემფასებლის კანდიდატურებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და თემის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

- დარგობრივი სექციის სხდომაზე ტარდება დოქტორანტის კოლოქვიუმი და განიხილება დოქტორანტის კვლევითი საქმიანობა;

- ადასტურებს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას და განიხილავს მასთან დაკავშირებულ საკითხებს;

- საჭიროების შემთხვევაში სათათბირო ხმის უფლებით იწვევს საშემსრულებლო დარგის აღიარებულ სპეციალისტებს, რომლებიც გათანაბრებულნი არიან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებთან.

- განიხილავს დოქტორანტის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა

მიმდინარე საკითხებს;

მუხლი 20. დარგობრივი სექციის მუშაობის წესი

20. 1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის საქმიანობა წარიმართება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

20.2 სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 4/5.

20.3. დარგობრივი სექცია იკრიბება სემესტრის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ.

20. 4. სექციის სხდომის ჩატარების მოთხოვნის უფლება აქვს სექციის თავმჯდომარეს, პროგრამის ხელმძღვანელს და დოქტორანტს.

20. 5. სექციის სხდომის მუშაობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სექციის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 21. დარგობრივი სექციის თავმჯდომარის და მდივნის უფლებამოსილება

21.1. **დარგობრივი სექციის თავმჯდომარე** საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება სექციის სხდომებს და პასუხისმგებელია დარგობრივი სექციის უფლებამოსილებისა და მოვალეობის განხორციელებაზე.

21.2. დარგობრივი სექციის მდივანი

- უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი სექციის ორგანიზაციულ საქმიანობას.

- აწარმოებს სხდომების ოქმებს.

თავი VII: სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება

22.1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერ მოპოვებული ახალი ცოდნა. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში.

22..2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

22.3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ავტორეფერატი ქართულ და ინგლისურ ენაზე (35-50 ათასი ნიშნის ფარგლებში).

22.4. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო.

22.5. უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამით სადისერტაციო ნაშრომის მომზადების შემთხვევაში, დისერტაცია წარმოდგენილი იქნება შესაბამის უცხო ენაზე.

22.6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები - ავტორეფერატი წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (35-50 ათასი ნიშნის ფარგლებში).

22.7. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს განსაზღვრავს წინამდებარე დებულება და წერითი ნაშორიმის შესრულების წესი.

22.8. თეორიული მიმართულებით სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 160-200 გვერდი. საშემსრულებლო მიმართულებით სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 100-120 გვერდი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა.შ). დანართი არ შედის ძირითადი ტექსტის გვერდების რაოდენობის ზღვრულ მოცულობაში. ფურცლის ზომა A4, შრიფტის სახეობა – სილფაინი, ზომა 11, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5, გვერდის საზღვრები: მარცხნიდან – 2,5 სმ, მარჯვნიდან - 1,5 სმ, ზემოდან და ქვემოდან - 2 სმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და ილუსტრაციების ნუსხა. ბიბლიოგრაფია დაეწყოს ანბანის მიხედვით, ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური, ელექტრონული რესურსი, სპექტაკლების/ფილმების ჩამონათვალი. დანართის სახით წარმოდგენილი ილუსტრაციები უნდა იყოს დანომრილი. ტექსტში ილუსტრაციების ნომრები უნდა მიეთითოს სათანადო ადგილას. სქოლიო დაერთოს გვერდებს. სქოლიოში მითითებული ინფორმაცია (ავტორი, წიგნის, სტატიის დასახელება და ა. შ. გამოიყოს მძიმეებით, ბოლოში წერტილი, დახრილით გამოიყოს წიგნის, კრებულის და ა. შ. სათაურები).

22.9. საშემსრულებლო მიმართულებით შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს საშემსრულებლო მიმართულების დისერტაციის შემადგენელ ნაწილს, დისერტაციის

შესაბამის პრაქტიკულ ნამუშევარს. სადოქტორო შემოქმედებითი პროდუქტი უნდა იყოს არსებით კავშირში საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიულ ნაწილთან. შემოქმედებითი პროდუქტის საბოლოო ვარიანტი უნდა წარედგინოს დარგობრივ სექციას და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შემოქმედებითი პროდუქტის ელექტრონული ვარიანტი დისერტაციის თეორიულ ნაწილთან ერთად, წარედგინოს სადისერტაციო საბჭოს შემდგომი მსვლელობისთვის.

22. 10. შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, ქრონომეტრაჟი და პარამეტრები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამის შესაბამისად, შემოქმედებითი პროექტის საფუძველზე, სექციის მიერ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს და მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

23.1. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა დარგობრივი სექციის წერილობითი თანხმობა დისერტაციის საჯარო დაცვაზე წარდგენის თაობაზე.

23.2 სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს გადაეცემა სამ, სტამბური წესით აკინძულ ბეჭდურ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად. საბჭოს მიერ რეცენზენტების დამტკიცების შემდგომ დისერტაციის რეცენზენტების სახელი და გვარი დაბეჭდილ ვერსიაში მიეთითება ხელით.

23.3. სადისერტაციო საბჭოს დოქტორანტი გადასცემს ბეჭდური, ბროშურის სახით აკინძულული, ავტორეფერატის ქართულენოვანი ვარიანტის სამ ეგზემპლარს და უცხოენოვანი ვარიანტის ერთ ეგზემპლარს და მათ ელექტრონულ ვერსიებს 2 ეგზემპლარად (DVD), არსებული სტანდარტის დაცვით.

23.4. საშემსრულებლო მიმართულების დოქტორანტმა დისერტაციასა და ავტორეფერატთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოქმედებითი პროდუქტის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი ციფრულ ფორმატში მყარ დისკზე სამ ეგზემპლიარად.

23.5. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ცნობა უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურიდან ფინანსური ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

- რეცენზირებად კრებულებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი (კრებულის თავფურცელი, სარჩევი სტატიის ავტორის, სათაურის მითითებით და სტატია). სამივე სამეცნიერო ნაშრომი ვიზირებული უნდა იყოს დარგობრივი სექციის მიერ;

- სამეცნიერო სემინარების, კონფერენციები და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებული იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- დისერტანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;

- დოქტორანტის ბიოგრაფია (CV) ფოტოსურათით;

- ამონაწერი სექციის სხდომის ოქმიდან დისერტაციის განხილვისა და საბჭოში წარდგენის რეკომენდაციით;
- დისერტაციის ხელმძღვანელის დასკვნა (არსებობის შემთხვევაში);

- დისერტანტის განცხადება იმის თაობაზე, რომ დისერტაციის ტექსტი მის მიერ არის შესრულებული და ყველა მითითებული წყარო არის სწორი;

- დისერტაციას უნდა დაერთოს ანტიპლაგიატის პროგრამაში გატარების შედეგების ამსახველი დოკუმენტის საფუძველზე შედგენილი შედეგის ამსახველი დასკვნა დისერტაციის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერით.

23.6. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იქნეს დაცვამდე, სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეცენზირებად-რეფერირებად ჟურნალებში. რეცენზირებადი ჟურნალების ნუსხას ადგენს სადისერტაციო საბჭო.

23.7. საერთაშორისო ექსპერტიზა უნდა გაიაროს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატმა. საერთაშორისო ექსპერტიზას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი ავტორეფერატის წარდგენიდან მაქსიმუმ 3 თვის განმავმეცნიერიობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დასკვნის (დადებითის ან უარყოფითის) მიუღებლობა არ ჩაითვლება დისერტაციის დაცვის პროცედურის შემაფერხებელ გარემოებად. ასევე საერთაშორისო შემფასებლის უარყოფითი დასკვანა არ შეიძლება იქცეს დისერტაციის დაცვის პროცედურის შემაფერხებელ გარემოებად. ავტორეფერატის საერთაშორისო ექსპერტიზას უთანაბრდება სადისერტაციო ნაშრომის თემაზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული სტატია.

23.8. დისერტაციის წარდგენა დასაშვებია საერთაშორისო ექსპერტიზისთვის ავტორეფერატის წარმოდგენამდე ან წარმოდგენილ ავტორეფერატზე საერთაშორისო შფასების მიღებამდე.

23.9. დარგობრივი სექცია ვალდებულია სადისერტაციო საბჭოში წარადგინოს შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე რეცენზენტთა სავარაუდო

კანდიდატურების, სადისერტაციო კომისიის სავარუდო შემადგენლობის შესახებ და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ სხვა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

23. 10. სადისერტაციო საბჭოს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია შეიმუშაოს დამატებითი მოთხოვნები.

23.11. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს დამტებითი რეცენზენტის დანიშვნის აუცილებლობა.

23.12. განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

24.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო გამოყოფს ორ რეცენზენტს, რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის, ხოლო საშემსრულებლო მიმართულებისთვის დამატებით შემოქმედებითი პროდუქტის (ნაშრომის) რეცენზიას ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

24.2. რეცენზენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით აქვს პუბლიკაციები ან შექმნილი აქვს შემოქმედებითი პროდუქცია შესაბამისი მიმართულებით ან ეწევა ხანგრძლივ პრაქტიკულ საქმიანობას შესაბამისი მიმართულებით.

24.3. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი, დისერტანტის შედეგით პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული პირი, დისერტანტის ნათესავი (საქმოქალაქო საპროცესი კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით გასაზღვრული პირები) ან/და პირი, რომლის მიმართაც არსებობს ისეთი გარემოებები, რაც გამორიცხავს მის ობიექტურობას.

24.4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით, ერთი რეცენზენტი შეიძლება იყოს უცხოეთის რომელიმე სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მოქმედი ან გადამდგარი თანამშრომელი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

24.5. რეცენზია უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ, რაც ასახული იქნება დისერტაციის შეფასების უწყისშიც, წერითი ნაშრომის შეფასების წესის მიხედვით.

24.6.1 დისერტაციის შეფასება და საჯარო დაცვაზე დაშვება ხდება რეცენზენტთა დასკვნების საფუძველზე.

24.6.2 ორი რეცენზენტიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს დამატებით რეცენზენტს.

24.6.3. თუ რეცენზენტთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაციის საჯარო დაცვა არ გაიმართება.

24.7. დისერტაციის რეცენზირება, როგორც თეორიულ, ისე საშემსრულებლო მიმართულებაზე უნდა მოხდეს „დოქტორანტთა მიერ რეცენზირებისათვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეფერატის, შემოქმედებითი პროდუქტის) წარმოდგენისა და შეფასების წესის“-ს მიხედვით. საშემსრულებლო მიმართულებით რეცნზია უნდა შეიცავდეს თეორიული და შემოქმედებითი პროდუქტის შეფასებას.

24.8. რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. დამატებითი რეცენზენტის დანიშვნის შემთხვევაში მათ ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევათ 2 თვე.

24.9. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების, ან საჯარო დაცვაზე უარის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაცია დაცვაზე დაიშვება.

24.10. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული ყველა პროცედურის გავლის შემდეგ (დარგობრივ სექციაზე განხილვიდან დაწყებული) ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე არ დაიშვება.
24.11. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტანტის ნაშრომი არ მიიღება საჯარო დაცვაზე წარსადგენად.

24.12. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს რეცენზენტთა დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს მაქსიმუმ 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად.

24. 13. ნაშრომის შეფასება ხდება საერთაშორისო რეცენზირების სახითაც: საბჭოს მიერ დისერტაციის ავტორეფერიატი იგზავნება უცხოელ შემფასებელთან (ექსპერტთან) ან დისერტანტი აქვეყნებს სტატიას უცხოურ რეფერირებად ჟურნალში.

24.13. თუ დოქტორანტს უარი ეთქვა საჯარო დაცვაზე, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი. ექსპერტებისა და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს არქივს. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს. დანარჩენი დოკუმენტები დაუბრუნდება დოქტორანტს.

მუხლი 25. სადისერტაციო კომისია

25.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით და დარგობრივი სექციის რეკომენდაციაზე დაყრდნობით, სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის ქმნის სადისერტაციო კომისიას.

25.2. სადისერტაციო კომისია იქმნება რვა პირის შემადგენლობით, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება. სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს კომისიის წევრებს. კომისია უფლებამოსილია თუ დაცვაზე გამოცხადდა მინიმუმ ხუთი წევრი.

25.3. კომისიის წევრად არჩეული უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ხელმძღვანელს და რეცენზენტებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება საჭიროების შემთხვევაში. ხოლო სადისერტაციო კომისიის საბოლოო თათბირსა და ხმის მიცემის პროცედურას ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც არ არიან სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით.

25.4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული ან საპატიო პროფესორი, ემერიტუსი, მთავრი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი ან რეცენზენტი.

25.5. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

25.6. სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შემდეგ, საბჭო უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისიის წევრებისთვის დისერტაციის ავტორეფერატის (ბეჭდური ან ელექტრონული ვერსიის) და დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსული წერილობით გამოხმაურებების მიწოდებას. მოთხოვნის შემთხვევაში კომისიის წევრებს მიეწოდება სრული სადისერტაციო ნაშრომი.

მუხლი 26. დისერტაციის საჯარო დაცვის მომზადება და დაცვა

26. 1. დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღს სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

26.2. დოქტორანტს დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღის თაობაზე წერილობით - ელ-ფოსტით აცნობებს საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

26. 3. ინფორმაცია დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღისა და ადგილის თაობაზე წინასწარ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

26.4. დისერტაციის დაცვა არის საჯარო, ტარდება ადგილზე ან განსაკუთრებულ შემთხვევაში დისტანციურად.

26.5. დაცვის ენა არის ქართული. უცხოენოვანი პროგრამის დოქტორანტის დაცვის ენა იქნება შესაბამის ენაზე. ყველა სხვა კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს სადისერტაციო საბჭო.

26.6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჯარო დაცვაზე წარადგენს დისერტანტის ყველა დოკუმენტაციას, რის შემდეგაც სადისერტაციო კომისია ასახელებს და ირჩევს კომისიის/სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს სხდომას. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ხმის მიცემისა და შედეგების დათვლის პროცედურებს და პასუხისმგებელია კომისიის გადაწყვეტილების ამსახველ საბოლოო დასკვნაზე. კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.
26.7. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ შედგენილ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

26.8. დისერტაციის საჯარო დაცვის რეგლამენტი მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

- დოქტორანტის და დოკუმენტაციის წარდგენა სადისერტაციო კომისიის წინაშე საბჭოს თავმჯდომარის მიერ;

- სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის დამსწრეთათვის წარდგენა და კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
- დოქტორანტის პრეზენტაცია (არა უმეტეს 30 წუთისა, საშემსრულებლო მიმართულებაზე არაუმეტეს 1 საათისა);
- დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საჯაროდ წაკითხვა;
- რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
- რეცენზიებში წამოჭრილ შეკითხვებზე და შენიშვნებზე დოქტორანტის მხრიდან პასუხის გაცემა;
- კომისიის წევრების შეკითხვებზე დოქტორანტის პასუხის გაცემა;
- სამეცნიერო დისკუსია;
- კომისიის დახურულ სხდომას – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმებას კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება;
- დოქტორანტის საბოლოო სიტყვა.

26.9. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის საჯარო დაცვა.

26.10. საჯარო დაცვის შემდგომ სადისერტაციო საბჭოს სამდივნო აწესრიგებს დაცვის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმი, წერილობითი სახით დისერტაციის პრეზენტაციის ტექსტი, რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხის ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასების დოკუმენტი, გამოყენებული შეფასების უწყისები, დისერტაციის საჯარო დაცვის მსვლელობის ამსახველი ვიდეო/აუდიო ჩანაწერი). დოკუმენტაციის შინაარსობრივ გამართულობაზე, არსებულ წესებთან შესაბამისობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საბჭოს მდივანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 27. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

27.1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

- საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე;

- კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე, კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა; შემოქმედებითი ხერხების გამოყენების სათანადო დონე, ინოვაცია;

- მეცნიერების მოცემული დარგის ან ხელოვნების მოცემული სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი.

- საშემსრულებლო მიმართულებით დამატებით ფასდება შემოქმედებითი პროდუქტის (ნაშრომის) შესაბამისობა თეორიულ ნაშრომთან;

27.2. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისია დახურულ სხდომაზე აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ქულობრივად, რომელიც აისახება კომისიის წევრის მიერ შევსებულ ინდივიდუალურ უწყისში. საბოლოო ქულა დგინდება საშუალო არითმეტიკულით, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესის მიხედვით. სადისერტაციო კომისიის მუშაობა აისახება ოქმში.

27.3. საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი – summa cum laude;
- ძალიან კარგი – magna cum laude;
- კარგი – cum laude;
- საშუალო – bene;
- დამაკმაყოფილებელი – rite;
- არადამაკმაყოფილებელი –insufficienter;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი – sum omni canone.

27.4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.

27.6. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება `არადამაკმაყოფილებელი" ან `სრულიად არადამაკმაყოფილებელი". დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მოქმედი რედაქციის შესბამისად.
27.7. თუ დისერტაციის საბოლოო შეფასება იქნება `არადამაკმაყოფილებელი" ან `სრულიად არადამაკმაყოფილებელი", დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 28. დისერტაციის გამოქვეყნება

28.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდგომ.

28.2. დისერტაციის დაცვის შემდეგ, 6 თვის ვადაში უნივერსიტეტი, სადისერტაციო საბჭოს მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს დისერტაციის გამოქვეყნებას ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.
28.3. დისერტაციის ელექტრონული ვერსიის გამოქვეყნების ფორმატი გულისხმობს სრულ ვერსიის გამოქვეყნებას, ავტორეფერატით ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.
28.4. დისერტაციის მიწოდება საქართველოს პაარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკისთვის ეკისრება დისერტანტს.

მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

29.1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო შესაბამისი სპეციალობით დაცვის შემდგომ უახლოეს საბჭოზე.

29. 2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭება განსაკუთრებული სამეცნიერო და ხანგრძლივი (არანაკლებ 15 წლისა) შემოქმედებით-პედაგოგიური დამსახურების მქონე პირს.

29.3. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 30. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

30.1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი (მოწმობა).

30.2 დიპლომი გაიცემა არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში დისერტაციის დაცვის შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

30.3. დიპლომში აღნიშნულია სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, საერთო შეფასება და სპეციალობის დასახელება. დიპლომს უნდა ახლდეს დანართი.

30.4. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

30.5. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

თავი VIII. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 31. შეთანხმება სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე

31.1. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

უნივერსიტეტთაშორისო სადოქტორო პროგრამის ფორმებია:

- ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
- დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
- ორმაგი ხარისხის მინიჭება.

მუხლი 32. განცხადება დოქტორანტურაში დაშვების შესახებ

32.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.

32.2. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

მუხლი 33. დოქტორანტის ხელმძღვანელი

33.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე პროფესორის დასკვნა. დისერტაციის დაცვას ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც უნდა ესწრებოდეს.

33.2. თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მოქმედებს პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

მუხლი 34. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

34.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, რომელშიც დაცული იქნა დისერტაცია, პარტნიორი უნივერსიტეტის მითითებით.

მუხლი 35. დისერტაციის წარდგენისა და დაცვის ენა

35.1. დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

თავი IX: დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა (ბათილობა)

მუხლი 36. გასაჩივრების პროცედურა

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი სექცია, ხოლო სადისერტაციო ნაშრომისთვის მსვლელობის მიცემის შემდეგ - სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 37. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და სტატუსის შეჩერება

დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და სტატუსის შეჩერება განისაზღვრება პირადი განცხადების ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 38. ბათილობა

38.1. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის და აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი არ გაიცემა. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

38.2. დოქტორის აკადემიური ხარისხი დოქტორს ჩამოერთმევა უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი) დარღვევის შემთხვევაში.

თავი X: დაფინანსება

მუხლი 39. დოქტორანტურის დაფინანსების შესაძლებლობა

39.1. დოქტორანტურის დაფინანსება შესაძლებელია სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

39.2. დოქტორანრურაში სწავლის წლიურ გადასახადს და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

39.3. იმ შემთხვევაში თუ კვლევითი (დისერტაციის)/ შემოქმედებითი პროექტის განხორციელებისათვის დამატებითი თანხებია საჭირო, დოქტორანტი თავად მოიძიებს დაფინანსებას.

39. 4. წინამდებარე დებულების მუხლი 10.1.-ის შესაბამისად, დოქტორანტი დამატებით 2 წელს გაივლის საფასურის გადახდის გარეშე. სტატუსშეჩერებულმა დოქტორანტმა სტატუსის აღდგენისთვის ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი მისი აკადემიური დავალიანების შესაბამისი კრედიტების საფასურს მიხედვით.

39. 5. უცხოელი ექსპერტის ანაზღაურება განისაზღვრება 200 პ. ე. (შესაბამისი უცხოური ვალუტა) ოდენობით.

39. 6. მოწვეული რეცენზენტის (საქართველოს მოქალაქე) ანაზღაურება განისაზღვრება 200 ლარით.

39.7. დაფინანსებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

თავი XI . დასკვნითი დებულებები

მუხლი 40. დებულების მოქმედების სფერო

40.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია `უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის' შესაბამისად, აწესრიგებს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებსა და წესებს.

40.2. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავენ ფაკულტეტების საბჭოები უახლოეს სხდომებზე და დადებითი

გადაწყვეტილების შემთხვევაში, განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. დებულებაში შეტანილ ყველა დამატებასა და ცვლილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

40.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.